

რეზაზ შეროზია

**ისტორიული დიალექტოლოგიის
საკითხისათვის**

1. ნებისმიერი ენობრივი სისტემა, როგორც ცნობილია, სხვათაგან განსხვავებული თავისი სტრუქტურული ელემენტებისაგან შედგება და არსებობს ზეპირი და წერითი მეტყველების სახით.

საუკუნეების მანძილზე წერითი მეტყველების არასაყოველთაოობა და, ამავე დროს, სტაბილურობა ამ ორ ფორმას შორის სხვაობის მატებას იწვევდა. თვით ზეპირი მეტყველების მრავალფეროვნებას არალინგვისტური ფაქტორები განაპირობებდა: გეოგრაფიული გარემო, ცხოვრების პირობები, ფიზიოლოგია, უცხო სისტემათა იძულებითი გავლენები.

საქართველოს ლანდშაფტის მრავალფეროვნება პირდაპირპროპორციულია სამეტყველო ფორმათა მრავალფეროვნებისა. წერითი მეტყველება კი გეოგრაფიული სივრცის მიმართ ნეიტრალურია და არც სხვა არალინგვისტურ ფაქტორებს ემორჩილება.

სვანურ და ხევსურულ მეტყველებაში სიტყვის ბოლო მარცვალზე ძლიერი მახვილის გამო ერთგვარად იკარგება ბოლოკიდური ხმოვანი და მნიშვნელობა არა აქვს, ეს ხმოვანი ძირეულია თუ რომელიმე სუფიქსია. საკმაო მანძილით დაშორებული მეტყველებების ასეთი მსგავსება შეიძლება ფონეტიკური პროცესებით აიხსნას. ამავე დროს, სვანურსა და ხევსურულში, მიუხედავად განსხვავებული არქაული ელემენტების არსებობისა, სახელმწიფო-სალიტერატურო წერითი მეტყველება ერთია ჩვენთვის თვალმისაწვდენი ისტორიის მანძილზე. მიზეზი ამისა კი ისაა, რომ წერითი (ანბანური) მეტყველება ჩამოყალიბების დროიდანვე საერთოა და, ამავე დროს და ამიტომაც, ფორმის ვარიაციულობისაგან დაცულია.

ქართველურ სისტემაში შენარჩუნებულია ლექსიკურ ერთეულთა თუ მორფოლოგიურ ელემენტთა ძირეული ფორმები, რაც სისტემის მოთხოვნებით არის ნაკარნახევი და ეს თანაბრად ეხება ორივე სახის მეტყველებას. ენობრივი სისტემიდან გადასვლა კი „მსოფლხედვის“ ცვალებას ნიშნავს, რაც ახალი ენობრივი სისტემის შექმნის წინაპირობაა.

2. თანამედროვე მწერლების, პოეტების ნაწარმოებზე საუბრისას ჩვენ გამოვყოფთ არქაიზმებს. ასევე, მაგალითად, ხევსურულ მეტყველებაში დადასტურებული ხოლმეობითებიც არქაიზმად არის კვალიფიცირებული და ეს ბუნებრივია. მაგრამ არავის უთქვამს, რომ ზანური მეტყველების ნანათესაობითარი დანიშნულების ფორმა (ადამიანშო(თ)) ასევე არქაიზმია.

კარგი მაგალითი ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული პარალელური ფორმები: **გულისად** (შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად) და **გულისთვის** (გული მისცეს გულისათვის...). პირველი ადრინდელ ნორმას

ასახავს, მეორე ახალია. შეიძლება ასეც გვეთქვას: პირველი წერითი მეტყველების ნორმას მიჰყვება, მეორე კი ზეპირი მეტყველების შემონატანიაო.

„ვეფხისტყაოსნამდელი“ ტექსტებისათვის უკვე ჩანს, რომ **მიცი** ტიპის ობიექტური წარმოება არქაიზმია. შესაბამისად, ზანური მეტყველებისთვისაც **გიჩქუქ** არქაიზმად უნდა ჩაითვალოს. მსგავსი სტრუქტურული ელემენტები ზანურში არაერთია. ალბათ, ამიტომაც შენიშნავდა აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა: „ზანური ენის (მეგრულ-ჭანურის) ამოსავალია უკვე ჩამოყალიბებული მეტყველება იბერიული წყებების ერთ-ერთი დიალექტისა, რომელიც დალექილია ძველი ქართული სამწერლო ენის შედგენილობაში“ (არნ. ჩიქობავა, 1948: 275).

შენიშვნა: განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მეგრულ და სვანურ მეტყველებებში დღემდე შემორჩა თბილისის აღმნიშვნელი ტერმინი **ქართი**, რომელიც საფუძვლად უდევს **ქართველი**, **საქართველო**, **ქართული**, **ქართველური**... ფუძეებს.

ნორმირებული სალიტერატურო ენის პოზიციიდან ხვესურულისა და ზანურის მონაცემები ერთგვარად უნდა შეფასდეს, – სალიტერატურო ენა წერითი მეტყველების ფორმაა. ზეპირი მეტყველებები კი, საქართველოს რომელი კუთხისაც არ უნდა იყოს, მის კონსერვატიულ ნორმებს ერთნაიანად არ ემორჩილებიან, მაგრამ ეს არ ხდება სისტემის მოთხოვნების უგულვებლყოფით, სისტემიდან გასვლით.

ზანურში მოთხრობითი **ქ** რომ **გ**-ს ფონეტიკური ვარიანტია, ლაზურში შემორჩენილი „კოჩიგ-ნა მოხთუ“ ტიპის შემთხვევები ადასტურებს და, შესაბამისად, იგი თანამედროვე ზანურ მეტყველებაში არქაიზმად უნდა ჩათვალოს და არა დამოუკიდებელი ენობრივი სისტემის კუთვნილებად.

ზანური პოტენციალის ანარეკლი ჩანს „ვეფხისტყაოსნისეული“ **ინახვისმცა** ტიპის ფორმები. უკვე ჩამოყალიბებულმა სალიტერატურო ენამ მსგავსი წარმოება არ მიიღო მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც ამას აკად. არნ. ჩიქობავა შენიშნავდა, ძველ ხოლმეობითს ენათესავება. მსგავსი ვითარებაა დასავლურ მეტყველებებში ჩამოყალიბებული **ნა-/ნო-** პრეფიქსიანი თურმეობითების შემთხვევაშიც. მიუხედავად ორივე წარმოების მოქნილობისა და გამომსახველობითი ეფექტიანობისა, ნორმირებულ წერით მეტყველებაში ისინი ვერ დამკვიდრდა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ზეპირი მეტყველებები ამით სისტემას უპირისპირდებიან და საკუთარ სტრუქტურულ ელემენტებს ქმნიან.

ამდენად, ზეპირი მეტყველებების წერითი მეტყველებისგან განსხვავების გამო ქართველური ენობრივი სივრცის რამდენიმე ერთეულად დაყოფა ლინგვისტური თვალსაზრისით მცდარია, ხოლო ეროვნული ფასეულობების მიხედვით – მიუღებელი.

დამოწმებული ლიტერატურა

შოთა რუსთაველი, ვებზიტყაოსანი, ბესიკ სისაურის გამოცემა (Adobe Acrobat PDF-ის ფორმატი), www.georgianweb.com დამოწმება: 12.11.2018.

არნ. ჩიქობავა, 1948 – Арн. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. რეზიუმე ქართულ ენაზე. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ., 1948.

ალ. ჭინჭარაული, 1960 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

REVAZ SHEROZIA
ON THE ISSUE
OF HISTORICAL DIALECTOLOGY

The language system exists in the form of oral and written idioms. Over the course of centuries, given the stability of written idiom and “freedom” of the oral one, these two forms were distinguished.

From the perspective of a standard literary (written) language, the Khevsurian and Svan data should be assessed in the same manner. From the perspective of linguistics, it is unjustified (and unacceptable, from the national one) when one of the two types of the idiom is preferred, or when either of the types is qualified according to the other. Both are equal, preserving the history, psychology of language and worldview of the nation.